ხელშეკრულება №02/10/139

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ.თბილისი 10 დეკემბერი 2015 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“, (ს/კ404905475) შემდგომში **„შემსყიდველი“,** წარმოდგენილი მისი დირექტორის თემურ თორდინავას სახით, და მეორეს მხრივ შპს „ბიარტი” (ს/კ 202463636) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მხეიძის სახით, შემდგომში **„მიმწოდებელი“**, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის მეთოდის გამოყენებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი” – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი” – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება” – წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას ამ ხელშეკრულების პირობებზე, ა(ა)იპ „ქ.თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“-ს, გაუწიოს დანართი №1-ში მითითებული პოლიგრაფიული პროდუქციის მიწოდება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი მიცკევიჩის ქ. №29-29ᵃ (CPV22816100 ბლოკნოტები).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 150.00 (ასორმოცდაათი) ლარს და 00 თეთრს.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს (მათ შორის ტრანსპორტირების ხარჯებს) და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება

ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) გაუწიოს მაღალი ხარისხის მომსახურება და მიაწოდოს ხელშეკრულების დანართ №1-ში მითითებული ვადების შესაბამისად, მისამართზე: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29-29ᵃ-ში.

ბ) იმ შემთხვევაში თუ კალენდრებს აღმოაჩნდება დეფექტი ან/და რაიმე სახის წუნი, მიმწოდებელმა შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს ახლით მისი ჩანაცვლება.

გ) განიხილოს **შემსყიდველის** პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.

დ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების განხორციელება.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი და გარანტია

5.1 გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში დადგენილ სტანდარტებს და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაბა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს პიარ მენეჯერი თამარ კვირტია.**

7. მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

7.2 გაწეული მომსახურების მიღებას, ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე, აწარმოებს **ა(ა)იპ „თბილისის საბავშვო ბაბა-ბაღების მართვის სააგენტო"-ს პიარ მენეჯერი თამარ კვირტია.**

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გაწეული მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება მოახდინოს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3 თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

10.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.5%-**ის ოდენობით.

10.3 ხელშეკრულების 8.2 პუნქტით გათვალისწინებული გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების **0.5%-**ის ოდენობით.

10.4 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2 (ორი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.5 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან **2 (ორი)** დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

13.3 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის

შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

16.1 ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

ა(ა)იპ „ქ.თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29-29ᵃ.

საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ – 404905475

სააგენტოს დირექტორი

თემურ თორდინავა

მიმწოდებელი

შპს „ბიარტი“

მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №116

საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE79TB3498836080100005
სს „თიბისი ბანკი“, კოდი TBCBGE22
სკ – 202463636

დირექტორი

მაია მხეიძე

2015 წლის 10 დეკემბრის №02/10/139 ხელშეკრულების

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	აღწერილობა	განზომილების ერთეული	რაოდენობა	თანხა	მიწოდების ვადა და ადგილი
1	2	3	4	5	6	7
1	CPV22816100 ბლოკნოტები	ბრენდირებული ბლოკნოტი (ა6, 50 ფურცელი)	ცალი	60	150	ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29-29ᵃ
				სულ ჯამი:	150.00 (ასორმოცდაათი) ლარი	

შემსყიდველი

ა(ა)იპ „ქ.თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო“

მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №29-29ᵃ.

საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE24NB0330100200165022
სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22,
სკ – 404905475

სააგენტოს დირექტორი

თემურ თორდინავა

მიმწოდებელი

შპს „ბიარტი“

მისამართი: ქ. თბილისი, წერეთლის გამზირი №116

საბანკო რეკვიზიტები:
ანგ. № GE79TB3498836080100005
სს „თიბისი ბანკი“, კოდი TBCBGE22
სკ – 202463636

დირექტორი

მაია მხეიძე